მომენტი ბევრი იყო, გოლი კი ორი

ცენტრალური სტადიონი. 23 აპრილი

„ტორპედო“ (ქუთაისი) - „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:1).

„ტორპედო“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, ძაგანია (ზარია), ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ჭითანავა, ვეკუა,

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, შერგელაშვილი, იამანიძე დათუნაშვილი (ილიადი), მეტრეველი, გ. ნოდია

გ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

გუნდმა თამაში შეცვლილი შემადგენლობით ჩაატარა. თბილისელთაგან პირველად გამოვიდა იამანიძე, ხოლო დათუნაშვილმა დაიკავა თავისი ადგილი მარჯვენა ფლანგზე. შემადგენლობა გადაახალისეს ტორპედოელებმაც. თავდასხმაში ადგილები დაიკავეს ლ. ნოდიამ და ჭითანავამ, ხოლო ნახევარდაცვაში თამაშობდა ძაგანია. მატჩი უაღრესად მიმზიდველი და საინტერესო გამოდგა.

პირველ ტაიმში ინიციატივა მეტწილად ხელთ ეპყრათ დინამოელებს, რომლებმაც მეტოქის კართან სახიფათო მომენტი უკვე მე-2 წუთზე შექმნეს. პარტნიორებმა კარგად გაიყვანეს წინ დათუნაშვილი, მაგრამ კარის სიახლოვეს მას სიამაშვილმა მიუსწრო და გადაარჩინა თავისი გუნდი. 2 წუთის შემდეგ დათუნაშვილს კვლავ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ კვასხვაძემ უშეცდომოდ ითამაშა. დაახლოებით მე-11 წუთზე მეკარის პირისპირ გავიდა მესხი, მაგრამ დარტყმა იჩქარა.

ტაიმის დამთაავრებამდე ქუთაისელთა კარი კიდევ რამდენიმეჯერ აღმოჩნდა საფრთხის წინაშე, მაგრამ ხან „დინამოს“ თავდამსხმელები ურტყამდნენ უხეიროდ, ხანაც ავტოქარხნელები თამაშობდნენ თავგანწირვით.

პირველ ნახევარში ბურთი მაინც გავიდა. ეს მოხდა 32-ე წუთზე. მეტრეველმა ისარგებლა მცველების შეცდომით, შეიჭრა ტორპედოელთა საჯარიმო მოედანში, მოატყუა კვასხვაძე და ანგარიში გახსნა - 1:0.

შესვენების შემდეგ ინიციატივამ ტორპედოელთა მხარეს გადაინაცვლა, ახლა უკვე მათ შექმნეს სახიფათო მომენტები, მაგრამ წარმატებას მხოლოდ 59-ე წუთზე მიაღწიეს. ასატაშვილის ზუსტი გადაცემა ოსტატურად მიიღო ჭითანავამ და ანგარიში გაათანაბრა - 1:1.

დარჩენილ დროში მასპინძლებს ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელები არაზუსტად ურტყამდნენ კარში, ერთხელ კი ერქომაიშვილის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელმა უკუაგდო.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).